ცხოვრების მიზნად სიმართლე გქონდეს და სიყვარული მოძმეთა ვალად!

10 (10048) 20 marti • 2014 w.

ა ლ ი ო ნ ი

gazeTi gamodis
1931 wlis 5 ianvridan

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი www. alion.ge

ყოველკვირეული გამოშვება
ფასი 30 თეთრი

„ეს შენ გეხება!"

19 მარტს, ოზურგეთში, კამპანია „ეს შენ გეხება"-ს ფარგლებში ხელმოწერების შეგროვება ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოზურგეთის ოფისიდან დაიწყეს. კამპანიის მიზანი ფარული მოსმენების აკრძალვის მითხოვნისთვის ხელმოწერების შეგროვებაა. მოეწყო მსვლელობა ქალაქის ქუჩებში. გავრცელდა მიმართვა პარლამენტში ოზურგეთის დეპუტატის სახელზე

საქართველოს პარლამენტის წევრს, ოზურგეთის მაჟორიტარ დეპუტატს ბატონ ზვიად კვაჭანტირაძეს

მიმართვა

ბატონო ზვიად,

სამართალდამცავი ორგანოების მიერ უკონტროლო ფარული მოყურადებების წარმოება, ადამიანის უფლებების სფეროში არსებულ ერთ-ერთ სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს. სამართალდამცავ ორგანოებს დღემდე აქვთ შეუზღუდავი წვდომა კავშირგაბმულობის ოპერატორთა მონაცემებთან და მოქალაქეთა შორის ყველა სახის კომუნიკაციასთან. მობილურ ოპერატორებთან განთავსებული ე.წ „შავი ყუთების" მეშვეობით. სამართალდამცავ უწყებებს შესაძლებლობა აქვთ, ერთდროულად მოუსმინონ რამდენიმე ათას ადამიანს, დაადგინონ მათი ადგილსამყოფელი, წაიკითხონ სმს-ები და ინფორმაცია პირადი ელექტრონული მიმოწერის შესახებ.

წლების განმავლობაში დამკვიდრებულმა უკანონო მიყურადებების მანკიერმა პრაქტიკამ გააღვივა და გაამძაფრა დაუცველობის შიში მოქალაქეებში: როგორც 2012 წელს გახდა ცნობილი, შინაგან საქმეთა სამინისტროში ათეულ ათასობით უკანონოდ განხორციელებული ვიდეო და აუდიო ჩანაწერი ინახებოდა. რომლებიც რიგით მოქალაქეთა, პოლიტიკოსთა, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელთა, სასულიერო პირთა, ხელოვნებისა და ზოგადად კულტურის მოღვაწეთა პირად და საქმიან ურთიერთობებს ეხებოდა. ისიც მოგეხსენებათ, რომ სპეციალურად შექმნილმა კომისიამ ამ ჩანაწერების მხოლოდ ნაწილის განადგურების გადაწყვეტილება მიიღო. ამავე დროს, მაშინდელმა შინაგან საქმეთა მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა საჯაროდ დადო პირობა, რომ მოქალაქეებზე უკანონო მიყურადება და თვალთვალი აღარ გაგრძელდებოდა. დაპირების მიუხედავად, სამართალდამცავი ორგანოები კვლავ ინარჩუნებენ შეუზღუდავ წვდომას კავშირგაბმულობის ოპერატორთა მონაცემებთან და მოქალაქეთა შორის ყველა სახის კომუნიკაციასთან.

ყოველივე ეს საფრთხეს უქმნის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის კონსტიტუციორი უფლების დაცვას და ქვეყანაში დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრებას, ასევე, მნიშვნელოვნად აფერხებს თავისუფალი საზოგადოების განვითრებას საქართველოში.

უკანონო ფარულ მიყურადებებთან დაკავშირებით პრობლემის არსებობის და მისი დაუყოვნებლივ გადაჭრის აუცილებლობაზე საუბრობს ევროკავშირის სპეციალური მრჩეველი საქართველოში სამართლებრივი და საკონსტიტუციო რეფორმისა და ადამიანის უფლებების საკითხებში თომას ჰამერბერგი საგანგებო ანგარიშში. პრობლემის შესახებ აღნიშნულია ასევე, აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის 2013 წლის ადამიანის უფლებათა ანგარიშში.

ჩვენ ასევე ვაცნობიერებთ, რომ თვალთვალი და მიყურადება, მძიმე დანაშაულის პრევენციისა და სამართალდარღვევის ჩამდენი პირების გამოვლენის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა. შესაბამისად ჩვენს მოთხოვნას არ წარმოადგენს მოსმენის და თვალთვალის როგორც საგამოძიებო მოქმედების გაუქმება. ჩვენი მოთხოვნაა, სახელმწიფომ და სამართალდამცავმა ორგანოებმა **მხოლოდ კანონით განსაზღვრულ ფარგლებში** განახორციელონ დაკისრებული უფლებამოსილება და დაიცვან მოქალაქეთა უსაფრთხოება.

2014 წელი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი იქნება ქვეყნისთვის ევროპულ სტრუქტურებთან დაახლოების თვალსაზრისით. თუმცა, პერსპექტივებთან ერთად, სახეზეა დიდი საფრთხეები, როგორც შიდა, ასევე საგარეო პოლიტიკის მიმართულებით. ამიტომაც, სასიცოცხლოდ აუცილებელია რომ ქართულმა სახელმწიფომ კიდევ უფრო მეტად დაიცვას საკუთარი მოქალაქეების უფლებები, გაამყაროს მათი დაცვის გარანტიები და მეტი ნდობა დაიმსახუროს ევროპელი და ამერიკელი პარტნიორების მხრიდან, რაც ასე ძალიან გვჭირდება ქვეყნის განსავითარებლად. თქვენ კი, როგორც პარლამენტის წევრს, ამ პროცესში მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეგიძლიათ და ვალდებული ხართ, მოქალაქეთა ეს მოთხოვნა გაითვალისწინოთ.

გამომდინარე აქედან, თქვენ, როგორც ოზურგეთის მაჟორიტარულ ოლქში ელექტორატის უმრავლესობით არჩეულ დეპუტატს, რომელსაც გაქვთ ვალდებულება უსმენდეთ და ითვალისწინებდეთ საკუთარი ამომრჩევლის აზრს, გთხოვთ, პარლამენტის წინაშე დააყენოთ **ფარული საგამოძიებო მოქმედებების, მათ შორის მიყურადებისა და თვალთვალის შესახებ კანონმდებლობის დახვეწისა და საერთაშორისო სტანდარტებთან მაქსიმალურად მიახლოების საკითხი. მით უფრო, რომ საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტი 2013 წლის ივლისის თვიდან განიხილავს საკანონმდებლო ინიციატივას, რომელიც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ფარული საგამოძიებო მოქმედებების მარეგულირებელი ნორმების დამატებას ითვალისწინებს.**

ვადასტურებთ რა მიმართვას ხელმოწერით, ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი მოსაზრებები და მოთხოვნები უახლოეს მომავალში იქნება დაყენებული საქართველოს პარლამენტის წინაშე.

შეხვედრა ბენეფიციარებთან

გაზეთი „ალიონი"

ოზურგეთის მუნიციპალიტეტისა და კულტურის ცენტრის ინიციატივით ოზურგეთის შეზღუდული შესაძლებლობის პირთა სარეაბილიტაციო ცენტრში კონცერტი გუშინ ანსამბლმა „შვიდკაცამ"გამართა. მათ რამდენიმე სიმღერა შეასრულეს. ხოლო შემდეგ სცენა ცენტრის ბენეფიციარებს მონიკა ახვლედიანს და თამუნა ლურსმანაშვილს დაეთმო.

17 წელი შეასრულა ცენტრის ბენეფიციარ,ა დათო ხიმშიაშვილმა. მან ქართველი პოეტების ლექსები წაუკითხა სტუმრებს.

კულტურის ცენტრის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილებით ისინი ყოველ კვირაში ესტუმრებიან ცენტრს და მსგავს კონცერტებს გამართავენ.

ოზურგეთის საკათედრო ტაძრის წინამძღვარმა მამა ბასილმა (კვირჩილაძე) საბერძნეთში მოგზაურობაზე ისაუბრა და აღნიშნა, თუ როგორ შეხვდა საბერძნეთის შეზღუდული შესაძლებლობის პირების პრეზიდენტს და ოზურგეთის ცენტრის ბენეფიციარებზე ესაუბრა.

—გპირდებით, თქვენ ასეთ კონცერტს საბერძნეთშიც ჩაატარებთ —აღნიშნა მამა ბასილმა.

ახალგაზრდების თვალით დანახული პრობლემები

„ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის" საკონფერენციო დარბაზში გაიმართა ახალგაზდული მიმართულების წევრების მიერ მომზადებული ფოტოგამოფენა და ლიდერთა სკოლის დებატ-ტურნირის საფინალო შეხვედრა.

შეხვედრის პირველი ნაწილში გაიმართა დებატ ტურნირის ფინალი. სადებატო რეზოლუცია - „ბავშვის განათლების უფლება შრომის უფლებაზე უპირატესია". ტურნირის გამარჯვებულებს საჩუქრად გადაეცათ აიპოდ შაფლი, მეორე ადგილზე გასულებმა სამახსოვრო ბლოკნოტები გადაეცათ.

დებატ-ტურნირის ფარგლებში ჩატარდა ათზე მეტი თამაში, რომელშიც მონაწილეობდა ლიდერთა სკოლის 30 მოსწავლე.

აღნიშნული თემის მიმართ საზოგადოების ყურადღების მიქცევას ლიდერთა სკოლის მოსწავლეები გასული წლის განმავლობაში ცდილობდნენ. ახალგაზრდებმა მოიძიეს ინფორმაცია იმ არასრულწლოვანების შესახებ, რომელთა საარსებო წყაროსაც ფიზიკური შრომა წარმოადგენს, ნაცვლად იმისა, რომ თავიანთი დროის დიდი ნაწილი განათლების მიღებას დაუთმონ. შეხვედრის მეორე ნაწილში მოეწყობა „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის" ბაზაზე არსებული, „სამოქალაქო აქტივიზმის ეროვნული ქსელის" წევრი, ახალგაზრდული ცენტრისა და ლიდერთა სკოლის ერთობლივი პროექტის - „ქალაქი მოზარდების თვალით" პრეზენტაცია. პროექტი ფოტოგამოფენის სახითაა წარმოდგენილი. ფოტოებზე აღბეჭდილია ქ. ოზურგეთის სხვადასხვა პრობლემური ადგილი, რომელთა მოგვარებაზეცაა მიმართული ახალგაზრდების მიერ ინიცირებული ადვოკატირების კამპანია.

7 დღის ამინდის პროგნოზი

წვიმა +6+16
20 მარტი
ხუთშაბათი

წვიმა +7+13
21 მარტი
პარასკევი

მზე +12+21
22 მარტი
შაბათი

მცირე თოვლი, +8+13
23 მარტი
კვირა

მზე +12+18
24 მარტი
ორშაბათი

მზე +13+19
25 მარტი
სამშაბათი

მზე +13+19
26 მარტი
ოთხშაბათი

„ქართული ოცნების“ ოზურგეთის ორგანიზაციას კვლავ დავით დარჩია უხელმძღვანელებს

გაზეთი „ალიონი“

ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში „ქართული ოცნების“ ოზურგეთის ორგანიზაციის კრება გაიმართა.

კრებას „ქართული ოცნების“ პირველადი ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ და კოალიცია „ქართული ოცნების“ გურიის კოორდინატორი გოჩა მეგრელიშვილი უძღვებოდა.

მან, აღნიშნა რომ ამჟამად პარტიაში მიმდინარეობს გადახალისების პროცესი და რიგ მუნიციპალიტეტებში პარტიის თავმჯდომარეები შეიცვალა.

—ლენინი ან ბრეჟნევი ხომ არ არიან, მუდმივად იყვნენ თანამდებობებზე—აღნიშნა მან.

მანვე კრების მონაწილეებს გააცნო კოალიცია „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს გადაწყვეტილება, რომ დავით დარჩია კვლავ უხელმძღვანელებს „ქართული ოცნების“ ოზურგეთის ორგანიზაციას. ასევე ითქვა, რომ პოლიტსაბჭოს გადაწყვეტილებით, „ქართული ოცნების“ ჩოხატაურის ორგანიზაციას კვლავ გაიოზ კუჭავა უხელმძღვანელებს, ხოლო ლანჩხუთში კონფერენცია უნდა გამართულიყო. —რაც შეიძლება ნაკლები უტვინო და რაც შეიძლება მეტი გულიანი ადამიანი უნდა იყოს პარტიის საარჩევნო სიებში. —არ შეიძლება ვიცხოვროთ არჩევნებიდან არჩევნებამდე. ადამიანები პარტიაში შედიოდნენ იმის გამო, რომ სამსახურში ეშოვათ. დარბაზში ვხედავ ძველ სახეებს. ძალიან კარგია, რიმ დროულად მიიღეს გადაწყვეტილება და სწორი არჩევანი გააკეთეს. უნდა მოხდეს პარტიის განახლება. ახალგაზრდები უნდა მივიზიდოთ —აღნიშნა მან.

დავით დარჩიამ აღნიშნა, რომ იგი სწორად აფასებდა მოვლენებს და ზუსტად ისე მიდის პროცესები, როგორც ამბობდა. მისი თქმით, ნიჭიერი ახალგაზრდების წარმოჩენა აუცილებელია პარტიაში.

კრებაზე სიტყვით გამოვიდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი კონსტანტინე შარაშენიძე:— მე აქ მოვედი, როგორც ამ პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი და გულშემატკივარი. მინდა ოზურგეთი უფრო მოწესრიგებული იყოს. საჭიროა ხალხის ნდობა ნეტად მოვიპოვოთ გაკეთებული საქმეებით. უამრავი საერთაშორისო ორგანიზაცია ადევნებს თვალს ჩვენს საქმიანობას. ბევრი ჩასაფრებულიც გვყავს.

ბატონმა ბიძინამ მიკერძოებაში არ ჩაგვეთვალოსო, მე-9 არხი დახურა. არადა, „რუსთავი 2“-ს რომ უყურებ, ისე მიდის გადაცემები, თითქოს არაფერი მომხდარა ქვეყანაში.

„ქართული ოცნების“ წარმომადგენელმა ლევან თავდიშვილმა დადებითად შეაფასა პოლიტსაბჭოს გადაწყვეტილება დავით დარჩიასთან მიმართებაში, ხოლო ნარი მუჯირმა აღნიშნა, მიუხედავად იმისა, რომ იგი სოფ. კონჭკათის კოორდინატორი იყო, არჩევნების შემდეგ ჩათვალა, რომ სოფლის რწმუნებულად უფრო ღირსეული კანდიდატურა მოსულიყო და გვერდზე გადადო ამბიციები.

„ქართული ოცნების“ წევრის, ლევან ნიკოლაიშვილის აზრით, პარტიამ უნდა გამოიყენოს ანასეულის ინსტიტუტის რესურსი.

ბესო მელუამ კი აღნიშნა, რომ „ქართული ოცნების“ ოზურგეთის ორგანიზაციაში არანაირი დაპირისპირება არ არის. იგი მიესალმა იმ ადამიანების პარტიაში მისვლას, რომლებიც არ იყვნენ მათ გვერდით. მისი თქმით, პატივი უნდა სცენ ერთმანეთს და გამოიყენონ ერთმანეთის რესურსი. არის ნიჰილისტური განწყობა. პარტიაში ქალბატონები მეტად უნდა იყვნენ წარმოდგენილი, ასევე ახალგაზრდები.

გოჩა მეგრელიშვილმა კრების შეჯამებისას აღნიშნა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ძალიან მნიშვნელოვანია და ახალ ბრძოლას იწყებენ სერიოზულ არჩევნებში.

საკრებულოს მორიგ სხდომაზე

გაზეთი „ალიონი“

14 მარტს საკრებულოს მორიგი სხდომა გაიმართა. სხდომას 23 დეპუტატი ესწრებოდა. დღის წესრიგით გათვალისწინებული ცხრა და ორი დამატებითი საკითხი განიხილეს.

საკრებულომ დაიწყო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცებისთვის საჯარო განხილვა. ანგარიში 1 მაისამდე უნდა დამტკიცდეს. ასევე დამტკიცდა, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ბიუჯეტის აუდიტორული შემოწმების მიზნით დამოუკიდებელი აუდიტის მოწვევის შესახებ.

დამტკიცდა მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობის საწარმოს, „ოზურგეთის ცენტრალური სტადიონის“ მიმართ ლიკვიდაციის პროცესის დასრულების შესახებ მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება.

საკრებულომ ქ. ოზურგეთის ტერიტორიაზე არსებულ ქუჩებზე საგზაო მოძრაობის დაგეგმარების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მისაღებად საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე იმსჯელა.

ამ თემაზე კომისიის თავმჯდომარე თამაზ სალუქვაძემ ისაუბრა. საკრებულომ ქალაქში მოძრაობის სწორად დაგეგმარებისთვის სპეციალისტი ამირან სალუქვაძე მოიწვია.

განიხილეს სახელმწიფო შესყიდვების 2014 წლის გეგმაში ცვლილებების და დამატებების შეტანის შესახებ და ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მიხეილ გოგოტიშვილის მცირე შენიშვნის შემდეგ დაამტკიცეს.

სხდომა გამოცოცხლდა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ხელშეწყობის განსახორციელებლად გათვალისწინებული თანხების განკარგვის წესის დამტკიცებისას.

საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირის თავმჯდომარის ლევან ხინთიბიძის ინფორმაციით, ოზურგეთში ბინათმესაკუთრეთა მხოლოდ 2 ამხანაგობა არსებობდა. ამჟამად მათი რაოდენობა 24-მდე გაიზარდა. წლევანდელ ბიუჯეტში ბინათმესაკუთრეთა ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის 75 ათასი ლარი ჩაიდო.

მუნიციპალიტეტიდან წამოვიდა კითხვა: როგორ დავხარჯოთ ეს თანხა? მივიღეთ შესაბამისი დადგენილება.

ავთანდილ სურგულაძე: —მაგალითად, გრიბოედოვის ქუჩა №23-ში მდებარე საცხოვრებელი კორპუსის ამხანაგობა ითხოვს სახურავს. ჩვენ ვაფინანსებთ პროექტით გათვალისწინებული თანხის 75 პროცენტს, ხოლო 15 პროცენტს დებს ამხანაგობა.

დიმიტრი კვერღელიძე:— ყველა ბინას აქვს პრობლემა. როგორ დავიცვათ რიგითობა?

ლევან ხინთიბიძე:—თუ ამხანაგობა დაფუძნებულია, გამგეობაში უნდა იყოს რეგისტრირებული. ვინც დაასწრებს ის იქნება.

დიმიტრი კვერღელიძე:— მოსწრებაზე თუ დავაყენებთ, უსამართლობა იქნება. ადამიანები კი არ უნდა წყვეტდნენ, არამედ ნორმატიული აქტი არეგულირებდეს ამ საკითხს.

ავთანდილ სურგულაძე:—თუ რომელ ამხანაგობას სჭირდება შესაბამისი თანხა, დასკვნის საფუძველზე უნდა გადაწყდეს.

ლევან ხინთიბიძე:—ბიუჯეტიდან ამხანაგობებზე თანხის გამოყოფისას აუცილებელი პირობაა თანადაფინანსება. ამხანაგობებმა 15 პროცენტიანი წილი უნდა შეავსონ.

როგორც საკრებულოს სხდომებზე, ისე სოციალურ ქსელებში ბევრი წინააღმდეგობრივი აზრი იყო და არის სასაფლაობის თემასთან დაკავშირებით. საკითხი რომ აქტუალურია, სწორედ საზოგადოების აქტიურობა მიუთითებს.

ქალაქის ტერიტორიაზე 17 ჰექტარი სასაფლაოს მოვლა-პატრონობისათვის ა(ა) იპ „ოზურგეთის სერვისცენტრს“ საკრებულოს სხდომაზე წარდგენილი პროექტით წლიურად ესაჭიროებათ 112045,9 ლარი. მუნიციპალიტეტი აქედან 39 ათას ლარს აფინანსებს.

დანართში სასაფალაოების მოვლის, საფლავის გამოყოფის და დაკრძალვის მომსახურების დადგენილების შესახებ:

ერთი საფლავის გამოყოფის შემთხვევაში უნდა გადაიხადონ 80 ლარი; ორის —160 ლარი; სამის —240 ლარი; ოთხის — 320 ლარი.

ა(ა)იპ „ოზურგეთის სერვისცენტრის“ მიერ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სასაფლაოზე გამოყოფილ საფლავზე დაკრძალვის მომსახურების საფასური (მომსახურების სურვილის შემთხვევაში) დადგინდეს 100 ლარის ოდენობით:

ინდივიდუალური ხელშეკრულების საფუძველზე, საფლავის შიდა ტერიტორიის მოვლა-პატრონობის საფასური (მომსახურების სურვილის შემთხვევაში) დადგინდეს თვეში 1 კვ. მეტრზე 40 თეთრი;

საფასურის გადახდისაგან თავისუფლდებიან სოციალურად დაუცველი პირები, ხოლო ომის ვეტერანები და მათთან გათანაბრებული პირები სარგებლობენ 50 %-იანი ფასდაკლებით.

მიხეილ გოგოტიშვილი:— ჩვენი შენიშვნები მიღებულია (წინა პროექტში იყო თვეში 2-ლარი სავალდებულო გადასახადი, გახდა ნებაყოფლობითი თვეში 40-თეთრიანი გადასახადი), როგორ გაკეთდება სასაფლაოების ნუმერაცია?

ვლადიმერ სალუქვაძე:— ქ. ოზურგეთის ტერიტორიაზე მდებარე 7 სასაფლაოზე დაახლოებით 12 ათასი საფლავია. ყოველთვიურად საშუალოდ 22-15 ადამიანს კრძალავენ. სასაფლაო მოსახლეობიდან 200 მეტრში მაინც უნდა მდებარეობდეს. ჩვენ მოვახდენთ ამ საფლავების ნუმერაციას.

მიხეილ გოგოტიშვილი:—მაინც რა შემოსავალს ელოდებით მოსახლეობიდან გადასახადის შემოღების შემთხვევაში?

ვლადიმერ სალუქვაძე:—სავარაუდოდ 16 ათასი ლარი თუ შემოვა.

ლელა ნაცვალაძე:— ამ თემამ დიდი ვნებათა ღელვა გამოიწვია საზოგადოებაში. ივნისში გასამართი არჩევნების შემდეგ ოზურგეთი თვითმმართველ ქალაქად ჩამოყალიბდება და არ გაუჭირდება სასაფლაოების დაფინანსება.

შალვა თავდიშვილი:—არ უჭირს ბიუჯეტს ეს თანხები. მივცეთ 16 ათასი კი არა 36 ათასზე მეტი....

მერაბ მჟავია: —მოუვლელი იყო სასაფლაოები და მგონი კარგი კეთდება.

ლელა ნაცვალაძე:— თვითმმართველი ქალაქის ფუნქციებში ხომ არ ვერთვებით?

წარმოდგენილი პროექტი კენჭისყრაზე დააყენეს. სამანდატო-საპროცედურო კომისიის თავმჯდომარე მერაბ მჟავიამ ხმები დათვალა.

დამსწრე დეპუტატთა ნაწილმა ხმა არ მისცა პროექტს. თუმცა, როგორც მჟავიამ გამოაცხადა ერთი ხმით მეტი მიიღო პროექტმა და დაამტკიცეს.

საკრებულოს სხდომაზე ქ. ოზურგეთში, სამთო ქიმიის ქუჩას, ტრაგიკულად დაღუპული ახალგაზრდა ოზურგეთელი მოჭადრაკის, გურიის ჩემპიონატსა და არაერთ ტურნირში გამარჯვებული თორნიკე ხვედელიძის სახელი მიანიჭეს.

რამდენიმე წლიანი განხილვა-მსჯელობის შემდეგ ჰერალდიკის საბჭოს რეკომენდაციის საფუძველზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გერბი და დროშა დაამტკიცეს.

გადაწყდა გენდერულ-საკონსულტაციო საბჭოს დაფინანსების საკითხიც. საბჭო 14 ათას ლარს მიიღებს.

შვილთა სიმრავლე, ერის ძლიერება

ნინო ნიკოლაიშვილი

დედა — ერის ძლიერების ბალავარი, დედა — ერის სულიერების სიმტკიცე. დედა — სათნოება და სიყვარული, ამ თემების სურნელს გაზაფხულის სურნელი ატკბობს და ალამაზებს. გაზაფხულის ერთი ლამაზი დღეც დედის ამაგს, ღვაწლს მიეძღვნა. ეს დღე ოზურგეთის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში გაიმართა, ორგანიზატორი პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირების ოზურგეთის ორგანიზაციის ხელმძღვანელი ქ-ნი როზა გოგუაძე გახლდათ. მოწვევები არა ერთი, რამდენიმე კატეგორიის გათვალისწინებით და ყველა ისინი დედათა უპირველეს მოვალეობას კარგად უთავსებენ პედაგოგის უდიდეს პასუხისმგებლობას. სალონური შეხვედრა მრავალშვილიან, ტყუპების, ჩვილ ბავშვთა დედებთან. ღონისძიება საინტერესო და გამორჩეული იმითაც იყო, რომ სტუმრად წვეული დედები თავად მასპინძლობდნენ ერთმანეთს საკუთარი მუსიკალური შემოქმედებით. ღონისძიებას ასევე ალამაზებდნენ წმ. გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის ოზურგეთის სამრევლო სკოლის აღსაზრდელები. შეხვედრა ასევე მრავალშვილიან დედას, ოზურგეთის №2 საჯარო სკოლის ერთ-ერთ საუკეთესო პედაგოგს, ქ-ნ მარინა ტაბიძეს მიჰყავდა. წვეულმა დედებმა დედის ვალსა და პასუხისმგებლობაზე და ამ პასუხისმგებლობაში თავიანთ წილზე ისაუბრეს.

ქალბატონებს გაზაფხული და დედის დღეები მიულოცეს ოზურგეთის კულტურის სამსახურის უფროსმა მაია თანდილაშვილმა, ა(ა)იპი სკოლამდელი აღზრდის ცენტრის ხელმძღვანელმა მაკა ჭყონიამ.

როზა გოგუაძემ გაზაფხული, დედის დღე მიულოცა და ფასიანი საჩუქრები და ყვავილები გადასცა მოწვეულ დედებს. — „შვილთა სიმრავლე ერის ძლიერებაა, უდიდესია დედათა ღვაწლი ჩვენი ქვეყნის წინაშე. ჩვენ შევეცადეთ, ჩვენი შესაძლებლობების ფარგლებში, გამოგვეხატა პატივისცემა დედებისათვის, რომლებიც ასევე წარმატებული პედაგოგები არიან, მინდა მათ ვუსურვო ოჯახური ბედნიერება და პროფესიული წარმატებები. ღმერთმა გამრავლოთ და გაგახაროთ!“

მოსაზრებები – კარგია, თუ ცუდი კანონი თვითმმართველობის შესახებ

ნინო ნიკოლაიშვილი

— ჩვენ მოვედით თქვენთან, რათა მოგისმინოთ და თქვენი მოსაზრებები მივიტანოთ მათთან, ვინც მუშაობს თვითმმართველობების შესახებ კანონზე — აღნიშნა ნაციონალიზმისა და კონფლიქტების კვლევის ცენტრის ხელმძღვანელმა ნინა ხატისკაცმა ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში თემების მოსახლეობასთან გამართულ შეხვედრაზე, ადგილობრივი კოორდინატორი ქეთევან ხიდაშელი (არასამთავრობო ორგანიზაციის „ქალები რეგიონის განვითარებისათვის“ ხელმძღვანელი): პირველ ნაწილში სტუმრებმა ისაუბრეს თვითმმართველობის შესახებ კანონზე და განიხილეს ამჟამინდელი მოდელი. რა შეიცვალა და რა რჩება უცვლელად; არის თუ არა მოსახლეობა ჩართული გადაწყვეტილებების მიღების შემუშავებაში; იმუშავებს თუ არა თემებში საზოგადოებრივი საბჭოები და რა ფუნქცია ექნებათ მათ; ვინ უნდა განკარგოს თემების ტერიტორიაზე არსებული ქონება, რა ფუნქცია ექნება თემების დანიშნულ რწმუნებულებს, როგორ უნდა განისაზღვროს სოფლის განვითარების პროგრამები, — ამ და სხვა საკითხებზე მათ კანონპროექტით არსებული ამჟამინდელი ვარიანტები გააცნეს მოსახლეობას და ალტერნატიული მოსაზრებების გამოთმაც შესთავაზეს.

ქეთევან ხიდაშელი: — მიმაჩნია, რომ მიღებული კანონპროექტიდან ამოღებულია ყველა დემოკრატიული მარცვალი, რაზედაც მიმდინარეობდა განხილვა. საერთოდ საზოგადოებას ეშინია სიახლის და ყველა ახალ მოსაზრებას არაადექვატურად ხვდება. თვითმმართველობის შესახებ მიღებულმა წინა კანონმა საერთოდ მოკლა სოფლები და უფუნქციოდ დატოვა ისინი. სოფლის რწმუნებულებიც არანაირ ფუნქციას არ ასრულებდნენ, გარდა ხელისუფლების დავალებისა. რაც შეეხება საზოგადოების ჩართულობას, ისინი ნიჰილისტურად არიან განწყობილნი, რადგან მათ მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს არავინ ითვალისწინებს და შესაბამისად არანაირი შედეგიც არ არსებობს. სოფლის რწმუნებული მხოლოდ ხელისუფლებისგან არ უნდა ინიშნებოდეს, ამ შემთხვევაში ყურადღება უნდა მიექცეს საზოდაგოებრივი საბჭოების რეკომენდაციებს და გაითვალისწინონ ხალხის მოსაზრებები.

კობა ცერცვაძე, სათემო კავშირ „იმედის “ ხელმძღვანელი: — ჩვენს სოფელში არაერთი პროექტი განვახორციელეთ და საზოგადოებრივი საბჭოც ფაქტიურად შევქმენით, ჩავატარეთ კვლევები სოფლის პრობლემების შესახებ და შესაბამისად გავაკეთეთ სოფლის განვითარების სტრატეგიული გეგმა. როცა სოფლის განვითარების პროექტის განსახილველად გაიმართა შეხვედრა, ყველაფერი გადაწყვიტა რწმუნებულმა და არავის მოუსმენია ხალხისთვის. სოფელს განვითარებისთვის სოფლის მხარდაჭერის პროგრამა კი არა, თავისი ბიუჯეტი და ხალხისგან არჩეული რწმუნებული სჭირდება, რომ თავად გადაწყვიტოს თავისი პრობლემები, რაც ამჟამად არ ხდება.

ნუგზარ ასათიანი, გაზეთ „ალიონის“ რედაქტორი: სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განხილვების დროს ხშირ შემთხვევაში მოსახლეობის აზრი გათვალისწინებული არ იყო. არც ის მცირე თანხა, რომელიც სოფლისთვის იყო გამოყოფილი, პრობლემას ვერ აგვარებდა, მაგრამ ვიტყვი დადებით შედეგსაც, როცა რამდენიმე სოფელი გაერთიანდა და ერთიანი ინტერესებიდან გამომდინარე, მათი სოფლებისთვის გათვალისწინებული ერთიანი თანხით შეკეთდა გზა.

ნანული ხურციძის მოსაზრებით 1998 წლის კანონი თვითმმართველობების შესახებ უფრო დემოკრატიული იყო, ვიდრე წინა და ამჟამინდელი კანონია. სოფლის წინაშე საკმაოდ დიდი პრობლემაა, როცა ამჟამინდელმა რწმუნებულებმა არ იციან სოფლის საზღვრები, სათესი ფართობების სპეციფიკა და ისე, როგორც საჭიროა, არ იცნობენ სოფელს. ამიტომ სანამ არსებობენ ამ საკითხების მცოდნე ადამიანები, მათი ჩართვა აუცილებელია სოფლის განვითარებისთვის.

ყველა გამოთქმული მოსაზრება ადასტურებდა ერთს, გადაწყვეტილებების მიღება ხდება მოსახლეობის ჩართულობის გარეშე, რადგან ისინი ნიჰილისტურად არიან განწყობილნი ამ საკითხების მიმართ. თუმცა მოსახლეობას აქვს სურვილი ჩაერთოს გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში, მაგრამ მათ შესაბამისად ინფორმირებულნი არ არიან. ზოგად ადმინისტრაციულ კანონს, ინფორმაციის ხემლისაწვდომობისა თუ კანონს საჯარო ინფორმაციის მიღების შესახებ, ადგილობრივი თვითმმართველობა იყენებდა და შესაძლებელია გამოიყენოს თავის სასარგებლოდ.

როგორ დაკომპლექტდება საზოგადოებრივი საბჭოები და ისინი რწმუნებულის მოსაზრებების გამტარებლები იქნებიან, თუ ხალხის მოსაზრებებისა, კვლავ კითხვის ნიშანს ტოვებს. რაც შეეხება ადგილობრივი ქონების განკარგვას, აქაც კითხვები არსებობს და ამ საკითხებზე რამდენიმე შემთხვევა ფარულად და უკანონოდ გასხვისებული ქონების შესახებ ჟურნალისტების მიერ დასახელდა. უდაოა საჭიროება იმისა, რომ მოხდეს მიწის კადასტრი, აღიწეროს სოფელში არსებული ყველა ქონება და სოფელმა იცოდეს, რა არის მის, და რა სახელმწიფოს კუთვნილებაში.

მონაწილეთა აზრი ერთიანი იყო, იმის შესახებ, რომ სოფლისთვის მხარდაჭერის პროგრამით, არა მხოლოდ პრიორიტეტები დაასახელოს სოფელმა და ხელისუფლებისაგან გამოცხადებული ტენდერის ნაცვლად, მათთვის გამოყოფილი თანხაც თავად განკარგოს. თუნდაც ნაწილი შეხედულებებისამაბრ დაიტოვოს სოციალური პროგრამისთვის. ამ შემთხვევაში ადგილებზე მეტი მოხალისეობრივი საქმიანობა განხორციელდება და სამუშაოს ანაზღაურებაც სოფლის მოსახლეობას დარჩება.

ვეტერანები დასაქმებას ითხოვენ

ნუგზარ ასათიანი

ქართულ ოცნებას საარჩევნოდ ერთ-ერთ სლოგანად ჰქონდა „ღირსეული დასაქმება ყველას!“

„ქართული ოცნება“აცხადებდა, რომ დღეს სამსახური პრივილეგიაა, რომლითაც, პირველ რიგში, სახელისუფლებო ელიტა, მათი ნათესავები და მეგობრები სარგებლობენ. პოლიტიკური ნიშნით სამსახურიდან გათავისუფლება „ნაციონალური მოძრაობის“საქმიანობის სტილია. ხალხის რეალური დასაქმება ჩვენი ხელისუფლების პრიორიტეტი იქნება!“

სასიამოვნო გახდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ გურიის გუბერნატორი ეძებს ახალ სახეებს სამსახურებში დასასაქმებლად. მართალია ეს შეხვედრები მედიის გარეშე ტარდება, მაგრამ მთავარია კარგი საქმე გაკეთდეს.

ხშირად გვიწევს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლებთან შეხვედრა, ამიტომ გადავწყვიტეთ მათ გავსაუბრებოდით:

იმედა მსხილაძე, 42 წლის, ცხოვრობს სოფ. ბოხვაურში:— პროფესიით მძღოლი ვარ, სამხედრო წოდებით სერჟანტი.

1988 წელს გამიწვიეს საბჭოთა არმიაში. 1,6 წელი დავყავი. 9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ რუსის ჯარში რა გამაჩერებდა. დავტოვე საბჭოთა ჯარი და პირველ ქართულ საჯარისო შენაერთში შევედი. აფხაზეთში ომი რომ დაიწყო, ქ. თბილისის სამხედრო პოლიციის

▶▶▶ გვ-4

ძვირფასო თანამემამულენო!

2014 წლის 31 მარტს, 15 საათზე

„ერგვალი მაგიდა თავისუფალი საქართველო“

ოზურგეთის სახელმწიფო თეატრში აღნიშნავს დიდი ქართველი მამულიშვილის, მეცნიერის, კულტურტრეგერის და საქართველოს პირველი პრეზიდენტის

ზვიად გამსახურდიას დაბადებიდან 75-ე წლისთავს.

გთხოვთ დაესწროთ.

საორგანიზაციო საბჭო

ბათუმელ პედაგოგთა ვერნისაჟი ოზურგეთში

მარი კოკოევი

ორშაბათს ქ. ოზურგეთში, თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრ-სურათების გალერეაში ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა ნამუშევრების გამოფენა გაიხსნა.

გალერეის სტუმრებს საშუალება ჰქონდათ ეხილათ გამოჩენილი მხატვრების პროფესორების **ვახტანგ ბესელიას და მიხეილ კვაჭაძის, სერგო გოგოლაძის, გელა გორგილაძის, ზურაბ ფალავას, ქეთევან ფილიპოვას, ნინო ნიჟარაძის, ქეთევან ვაჩეიშვილის, ბექა ბოლქვაძის, ნატო ზაზაშვილის, თინა თალაკვაძის, ელგუჯა ხაზარაძის, მაია გერსამიას, ნოდარ კვირკველიას** ნამუშევრები. საინტერესო იყო წარმოდგენილი დიზაინერი **ნანა კუპრაძე.**

ვერნისაჟზე დამთვალიერებლები არ აკლდა არქიტექტორების **ლადო მეკვანაძის,** (დიზაინერი **ელგუჯა ხაზარაძე)და ალექსი ქინქლაძის** მიერ წარმოდგენილ მალთაყვის საცხოვრებელი კომპლექსის თუ სხვა ესკიზებს. ცალკე თემაა არქიტექტორთა ორი ჯგუფის (**ლაშა სამსონია, მარტა ჩიკაშუა, გია რამიშვილი; გოჩა გარუჩავა, ლია ლომაძე, მამუკა ჭელიძე**) მიერ წარმოდგენილი მათ მიერ დაპროექტებული შენობების ფოტოილუსტრაციები.

განსაკუთრებით უნდა აღნიშნოს ვახტანგ ბესელიას „პროწეულები,“ სამთავრო,“(მუყაო, პასტელი), მიხეილ კვაჭაძის „მივიწყებული საყვირი,“ „ტაძარი“, „ნატურმორტი,“(მუყაო, აკრილი), სერგო გოგოლაძის „ნავსადგური,“ (ტილო, ზეთი) და გელა გორგილაძის სურათები სერიიდან „ჯურიაში“ (ქაღალდი, აკვარელი, გუაში).

გამოფენის საზეიმო გახსნაზე სიტყვებით გამოვიდნენ: ხელოვნებათმცოდნელია ურუშაძე, მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახურის უფროსი მაია თანდილაშვილი, გურიის მხატვართა კავშირის თავმჯდომარე თამაზ დარჩია, მხატვრები ვახტანგ მამეშვილი, ავთანდილ თავართქილაძე.

—იყო დროს ჩვენ აქტიურად ვმონაწილეობდით აჭარის სამხატვრო კავშირის მიერ მოწყობილ გამოფენებში. ბევრი უფროსი თაობის მხატვარი აღარ არის. ურთიერთობები, ბუნებრივია გრძელდება. დღეს საუკეთესო ნამუშევრები წარმოადგინეს ხელოვნების უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა. ის რად ღირს, ხელოვნების მეტრის ვახტანგ ბესელიას და სხვა არანაკლებ ცნობილი მხატვარია წარმოდგენილი. —აღნიშნა ვახტანგ მამეშვილმა.

„სკოლის ბიუჯეტი განვითარებაზე ორიენტირებული არ არის“

ნინო ნიკოლაიშვილი

განვითარებაზე ორიენტირებული მუხლები, მათი პროცენტული წილი და შესაბამისი ხარჯების ასახვა საჯარო სკოლების ბიუჯეტში (გურიის საჯარო სკოლათა მაგალითზე) ამ თემის პრეზენტაცია ოზურგეთის ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირის დარბაზში მოეწყო. შეხვედრაზე მიწვეული იყვნენ სკოლათა ხელმძღვანელები, სამოგადოების წარმომადგენლები.

მონიტორინგის ანგარიში წარმოადგინეს აპკ-ს სპეციალისტებმა ლევან მჟავანაძემ, თეა კუპრაძემ, მზია მეხუზლამ.

აღნიშნეს, რომ გურიაში არსებული 97 საგარო სკოლიდან ელექტრონული ვერსიით დაგზავნილ წერილზე საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ, პასუხი მიიღეს 21 სკოლიდან. მათ შორის ოზურგეთი - 16; ჩოხატაური - 5; ლანჩხუთი -0. ჩამოყალიბდა მონიტორინგის სამი ინდიკატორი: 1. სკოლების ბიუჯეტში განვითარებაზე ორიენტირებული ხარჯების შედარება; 2. სოფლისა და ქალაქის სკოლების ბიუჯეტში ასახული განვითარებაზე ორიენტირებული ხარჯების შედარება; 3. სკოლების მიერ საკუთარი ძალებით მობილიზებული თანხების პროცენტული წილი საბიუჯეტო საერთო საშემოსავლო ნაწილთან მიმართებით.

მონიტორინგის შედეგად, მათ მიერ მიღებული საერთო დასკვნები ასეთია: *განვითარებაზე ორიენტირებული ხარჯების პროცენტული წილი მთლიან ბიუჯეტთან მიმართებით ძალიან მცირეა, რაც სკოლებს განვითარების საშუალებას არ აძლევს;

*სოფლის სკოლებს მეტად აქვთ გათვალისწინებული განვითარებაზე ორიენტირებული ხარჯები, რაც ხაზს უსვამს სოფლის სკოლების მოტივაციას;

*საკუთარი ძალებით მობილიზებული თანხების პროცენტული წილი ბიუჯეტის საერთო საშემოსავლო ნაწილთან მიმართებით ძალიან მცირეა(საშუალოდ 0,16%);

*საჯარო სკოლების მეტი ნაწილი არღვევს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე მუხლით გათვალისწინებულ საჯარო ინფორმაციის შესახებ კანონს.

შეხვედრაზე გამოითქვა სხვადასხვა მოსაზრებები, აღინიშნა, რომ მცირე ბიუჯეტი, რაც სკოლებს გაჩნიათ, არ იძლევა შესაძლებლობას, სკოლამ ისე ხარჯოს, როგორც ეს მისი განვითარებისთვისაა საჭირო.

მონაწილეებს დაურიგდათ ბროშურები, სადაც ასახულია არა მხოლოდ მონიტორინგის შედეგები, ასევე რეკომენდაციები.

ვეტერანები დასაქმებას ითხოვენ

ბატალიონში ვიყავი. სოფ. შრომასთან ჩავერთეთ საბრძოლო მოქმედებებში. შემდეგ კარგა ხანს ვიყავი უმუშევარი.

2007 წელს საკონტრაქტო ჯარში დავიწყე სამსახური. ქუთაისის III ქვეით ბრიგადაში ვირიცხებოდი. იმავე წელს წავედი სამშვიდობო მისიაში ერაყში, ხოლო 2010 წელს –ავღანეთში. საფრანგეთის სარდლობამ, ასევე საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ მედლებით დამაჯილდოეს.

მოგეხსენებათ, „ნაციონალური მოძრაობა“ ჯარშიც განსაკუთრებით ერთგულ ხალხს ეძებდნენ. თანაც ცდილობდნენ, მანამდე გაეშვი სახლში, სანამ სამხედრო პენსიის ვადა შეგისრულდებოდა. 2012 წლის სექტემბერში სახლში გამომიშვეს...

ნოდარ გუდავაძე, 31 წლის, დაუმთავრებელი უმაღლესი იურიდიული განათლებით, უფროსი სერჟანტი. მამა გივი გუდავაძე არაერთი ომის მონაწილე, ვიცეპოლკოვნიკია, საქართველოს ძალოვან ვეტერანთა და პატრიოტთა პოლიტიკური მოძრაობის გურიის ორგანიზაციის თავმჯდომარე.

ნოდარი თავდაპირველად ფოთის სადესანტო ბატალიონში მსახურობდა. შემდეგ– კოსოვოში, გერმანიის ბატალიონის სამშვიდობო ასეულში. იგი იტალიელ სერჟანტთან ერთად ამერიკელი გენერლის პირად დაცვას ახორციელებდა. ორჯერ დაჯილდოეს გაეროს მედლით „წარჩინებული სამსახურისთვის.“ შემდეგ ზაზა დამენიასთან ერთად ცხინვალის მისადგომებთან იმყოფებოდა.

2005 წელს, იმ მოტივით, რომ პენსიები არ მოეთხოვათ, ასეული დაშალეს.

ნოდარს მეუღლე და ორი მცირეწლოვანი შვილი ჰყავს.

როგორც საუბრებში გავიგეთ, 2-ჯერ იყო ერაყში სამშვიდობო მისიებში ტარიელ ანდღულაძე. ერთ-ერთი საბრძოლო დავალების დროს მძიმედ დაიჭრა.

ასევე ორჯერ იყო ავღანეთში სამშვიდობო მისიით კახა გოგუაძე. 2012 წლის არჩევნებისას „ქართული ოცნების“ მობილური ჯგუფის წევრი იყო. მასაც ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

–მაინც რა სამსახურს თხოვდით გუბერნატორს?

–ჩვენ არ ვითხოვთ თანამდებობებს. ვთხოვთ დაგვასაქმოს. ვიმუშავებდით სამაშველო, სახანძრო სამსახურებში, მშენებლობებზე, ყველგან, სადაც ჩვენი კომპეტენცია გაწვდება.

ისინი პასუხს ბატონ გიორგი ჩხაიძისაგან ელოდებიან.

„ჭადრების ბაღში“ არფას უკრავენ

სტუდენტურ-ახალგაზრდული სათათბიროს მოხალისეები სხვადასხვა ღონისძიებებს მართავენ. არაერთ ოზურგეთელს ახსოვს პოლონელი მოხალისეების მიერ მოწყობილი პოლონური სამზარეულოს დღე, შეჯიბრებები „ჭადრების ბაღში“

ორშაბათს, „ჭადრების ბაღში“ არფა უკრავდა. საფრანგეთის ბრეტონის მკვიდრი ერელ ლოპიტე ასე აღნიშნავდა წმ. პატრიკის ხსენების დღეს. როგორც გავიგეთ, ერელი მუსიკოსია, ხოლო მამა მუსიკალური ინსტრუმენტების ოსტატი. სწორედ მამის მიერ დამზადებული არფიდან მოდიოდა ასე ლამაზი ბგერები. მსმენელი საკმაოდ ჰყავდა ერელს.

მოხალისეებს შორის კიდევ ერთი მუსიკოსია, ევა შუმნა. იგი ვიოლინოზე უკრავს. ევა პოლონეთიდან.

ასე, რომ უახლოეს ხანში ოზურგეთში შესაძლოა საინტერესო კონცერტი გაიმართოს.

აჭარის ღია პირველობაზე ფარიკაობაში

ქ. ბათუმში ჩატარდა აჭარის ღია პირველობა ფარიკაობაში კადეტებში და იუნიორებში, რომელშიც მონაწილეობდნენ თბილისის, ბათუმის და ოზურგეთის სპორტსკოლის გუნდები.

უნდა აღინიშნოს, რომ ოზურგეთლები დაშნით ფარიკაობაში (პედაგოგი მალხაზ კვაჭაძე) 8 მედლიდან 7 მედალს დაეუფლნენ.

ვაჟებში I, II, III ადგილებს გიორგი კვაჭაძე, ომარ ხომერიკი, გელა მჟავია დაეუფლნენ, ხოლო გოგონებში I, II, III, IV ადგილებს ნინო ბარამიძე, თეა კვაჭაძე, თამთა კვაჭანტირაძე, თეა ჩხაიძე.

სპორტული ღონისძიებები

15 მარტს ოზურგეთის სპორტის სასახლის წინ, კულტურისა და დასვენების პარკში, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარების ცენტრისა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სასპორტო სკოლის ორგანიზებით, ოზურგეთის საჯარო სკოლებს შორის ჩატარდა სპორტული ღონისძიებები მკლავჭიდში, კროსში, ბაგირის გადაძლევაში. შეჯიბრებაში აქტიურად ჩაერთნენ ოზურგეთის №1, №2,№3,№4,№5, წმიდა ნინოს სახელობის, სოფლების ბახვის, შემოქმედის, ასკანის, მაკვანეთის, ბაილეთის, დვაბზუს, ვაკიჯვრის, ლიხაურის, ძიმითის, გაღმა დვაბზუს, გურიანთის ,დაბა ლაითურის, ნასაკირალის საჯარო სკოლების მოსწავლეები.

საბოლოო გამარჯვება მოიპოვეს:

კროსი(ვაჟები)-1000მ გარბზენზე შუშან სარქისიანი (ლაითურის საჯარო სკოლა), კროსი (გოგონები)-ალიონა ტოლსტოვა (ოზურგეთის №4 საჯარო სკოლა), ბაგირის გადაძალვა-ვაკიჯვრის საჯარო სკოლა, მკლავჭიდი-გიორგი ხანთაძე(60კგ), ლუკა მგელაძე(70კგ),თომა თენიეშვილი(80კგ), აბსოლიტური (გოგონები) -ანა ურუშაძე.

„მერცხალმა“ ორი მატჩი მოიგო

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის (I ლიგა) II წრის მე-3 ტურში ოზურგეთის „მერცხალი“ კახეთის „თელავს“ შეხვდა. ამ მეტად მნიშვნელოვან მატჩში „მერცხალმა“ ორი გოლი გაუტანა მეტოქეს, რასაც სტუმრებმა მხოლოდ ერთით ბურთით უპასუხეს. ოზურგეთლებმა შეძლეს მათთვის მეტად მნიშვნელოვანი სამი ქულის მოპოვება.

„მეცხალმა“მე-4 ტურის მატჩშიც კარგად ითამასა და გათამაშების ცხრილში მე-5 საფეხურზე მყოფ „გაგრას“1:0 სძლია, (ბურთი პენალტით მიხეილ ქობულაძემ გაიტანა). ამჟამად „მერცხალს“11 ქულა აქვს (3 მოგება, 2 ფრე, 11 წაგება, ბურთების შეფარდება 11-34). ბოლო ტურში „კახეთმაც“ და „ადელმაც“ მოიგეს და „მერცხალი“ მათთან ერთად კვლავ X-XII ადგილს იყოფს.

კვირას, 23 მარტს „მერცხალი“ წალენჯიხაში ადგილობრივ „სქურს“ შეხვდება.

ვლადიმერ მაისურაძის ტურნირზე

ქ. თბილისში ჩატარდა ვლ. მაისურაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ჭაბუკთა შორის, რომელშიც 250 სპორტსმენი მონაწილეობდა. აღნიშნულ ტურნირში ოზურგეთის სასპორტო სკოლის აღსაზრდელებიც მონაწილეობდნენ.

ტურნირზე კარგად იასპარეზეს ოზურგეთის სასპორტო სკოლის ლიხაურის ფილიალის აღსაზრდელებმა.

42 და 69 კგ. წონით კატეგორიაში ჩემპიონები გახდნენ ირაკლი ძიმისტარიშვილი ბორის ტუღუში. 100 კგ. წონით კატეგორიაში III იყო საბა ცეცხლაძე (მწვრთელი ალ. ბოლქვაძე.)

76 კგ. წონით კატეგორიაში III ადგილზე გავიდა კახა კალაძე (მწვრთ. კახა აბაშიძე).

საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში

ქ. ზუგდიდში ჩატარდა საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში „კოლხეთის თასზე“ 1998-99 წლებში დაბადებულთა შორის. მონაწილეობდნენ აზერბაიჯანის, სომხეთის გუნდები და საქართველოს წამყვანი მოჭიდავეები.

ტურნირზე ოზურგეთის სასპორტო სკოლის აღსაზრდელებიც მონაწილეობდნენ. 42 კგ. წონით კატეგორიაში III ადგილი გოდერძი ქათამიძემ დაიკავა (მწვრ. დავით ჩიკაშუა, დიმიტრი ტულუში), ხოლო 60 კგ.-ში თომა ჩხარტიშვილმა (გოჩა ბურჭულაძე, დიმიტრი ტულუში).

ღია ტურნირი კრივში

ქ. სენაკში ჩატარდა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის თამაზ ვახანიასა და შოთა ჯავახიას ხსოვნისადმი მიძღვნილი ღია ტურნირი კრივში. ორ ასაკობრივ ჯგუფში, რომელშიც მონაწილეობდნენ ფოთის, ბათუმის, საჩხერის, ჭიათურის, სენაკის, მესტიის, ზუგდიდისა და ოზურგეთის გუნდები. ოზურგეთის სასპორტო სკოლა 6 სპორტსმენით გამოვიდა.

2002-2003 წლებში დაბადებულთა შორის 32 კგ. წონით კატეგორიაში I ადგილზე გავიდა ოზურგეთელი ოთარ აბესაძე,ხოლო 30 კგ. წონით კატეგორიაში რომა აბესაძემ II ადგილი დაიკავა.

1998-99 წლებში დაბადებულთა შორის თემურ ჯანანაშვილი II ადგილზე გამოვიდა.

გუნდი იულონ ჯანაშიამ მოამზადა.

„არწივებმა“ ბათუმლები გააკვირვეს.

საუცხოოდ ჩაატარა გასვლითი შეხვედრა ქ. ბათუმში, ოზურგეთის I ლიგის მორაგბეთა გუნდმა „არწივებმა.“ მათ ყველა კომპონენტში დაჯაბნეს მეტოქე და დიდი ანგარიშით 66:13 გაიმარჯვეს.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა იუწყება მუნიციპალიტეტის ბახვის ტერიტორიული ორგანოს სპეციალისტის **ემზარ ცეცხლაძის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაცია თანაუგრძნობს ქ. ოზურგეთის №2 საჯარო სკოლის პედაგოგს ანა ნაკაშიძეს დედის, **ნათელა კონტრიძე-ნაკაშიძის** გარდაცვალების გამო.

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაცია თანაუგრძნობს ქ. ოზურგეთის №2 საჯარო სკოლის პედაგოგს რუსუდან ხემერს მეუღლის, **ტარიელ არობელიძის** გარდაცვალების გამო.

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაცია ღრმა მწუხარებით იუწყება №3 საჯარო სკოლის სპორტის მასწავლებლის, უკეთილშობილესი პიროვნების **ზაზა ჯაველიძის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ტუხო ჟვანია, დავით გორგოშიძე ოჯახებით იუწყებიან **ჯუმბერ დუნდუას** გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

იყიდება
ახალი ხის სახლი 10X12, ალუმინის სახურავით. ფასი შეთანხმებით. დაგვიკავშირდით (591) 91 77 16.

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№1. ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311

რედაქტორი ნუგზარ ასათიანი
ელ. ფოსტა: nugzarasatiani@rambler.ru

კომპიუტერული უზრუნველყოფა გია გოგოლაძე